ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

„ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის -“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილებები ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #370 განკარგულებაში:
   ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩისთვის რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ“
   ბ) განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი (რუკა) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით;
   გ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს განკარგულების მე-2 პუნქტი.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი

X:490135 Y:4615508
X:490143 Y:4615476
X:490138 Y:4615467
X:490216 Y:4615259
ალაკი ვასაძის ქ.
X:490214 Y:4615218
ალაკი ვასაძის ქ.
X:490205 Y:4614736
N
1:4,500

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 370

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ" ქუჩებისთვის
რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორისა და მსახიობის აკაკი ვასაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. სამგორის რაიონში, „დ" ქუჩას მიენიჭოს აკაკი ვასაძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:490135 Y:4615508
X:490143 Y:4615476
X:490138 Y:4615467
X:490216 Y:4615259
I შეს.
X:489963 Y:4615257
X:490214 Y:4615218
აკაკი წერეთლის ქ.
X:490205 Y:4614736

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ლევან აბაშიძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-032504515**
თარიღი: **14/02/2025**

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2024 წლის 12 ივლისს, #370 განკარგულებით სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას მიენიჭა აკაკი ვასაძის სახელი, ხოლო "დ" ქუჩა გახდა აკაკი ვასაძის I შესახვევი.

ხსენებული განკარგულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია. ნუმერაციის პროცესში დადგინდა, რომ აკაკი ვასაძის I შესახვევი მიმდებარედ განაშენიანებულ კორპუსებს ესაზღვრება არა ძირითადი, არამედ ე.წ. ეზოების გამოსასვლელის მხრიდან. სამსახურის პოზიციით მიზანშეწონილი იქნება, თუ ხსენებული კორპუსებისთვის მისამართი განისაზღვრება არა აკაკი ვასაძის I შესახვევით, არამედ კალოუბნის ქუჩიდან.

აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ ხსენებულ შესახვევს, როგორც გეოგრაფიულ ობიექტს - მისასვლელ გზას დაკარგული აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და მიზანშეწონილია მისი გაუქმება.

გთხოვთ, შემდგომ მითითებებს.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)